სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 149 § 2 22.08 2022 წელი

საგაზაფხულო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა მობილობისათვის პროცედურების წარმართვის შესახებ

2021-2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო მობილობისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა მობილობისათვის პროცედურების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის პროცედურები განხორციელდეს უმაღლესი განათლების საფეხურის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ“ მიხედვით და ამ მიზნით გამოყოფილი იქნას ვაკანტური ადგილები.

2. შიდა მობილობის წესით ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეს სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან.

3. ვაკანტური ადგილების დაკავება მოხდეს კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების მიღება წარიმართოს 2022 წლის 25 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით, მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორში (ოთახი №1106) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

5. მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
   ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
   გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
   დ) პირადობის მოწმობის ასლი.

6. დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ: ა) პირადობის მოწმობის ასლი; ბ) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;

7. შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება საფაკულტეტო კომისიებმა უზრუნველყონ 2022 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. კორძაძე) უზრუნველყოს შიდა საუნივერსიტეტო მობილობის და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების მომზადება 2022 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.

9. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების და დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი	პროფესორი როლანდ კოპალიანი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	ასოც. პროფ. თეა კორძაძე
მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი	ასოც. პროფ. მათე ხვედელიძე